შპს თბილისი დრაი პორტი

TBILISI DRY PORT LLC

ს/კ 405483454
იურ. მის. თბილისი, აბაშელის ქ. 17
ფაქტიური მის. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 23-23ა
ID: 405483454
Legal Addr.: 17 Abasheli street, Tbilisi
fact.Addr. 23-23A Chavchavadze Avenue, Tbilisi

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„29" 08 2022 წ.
№ 4396

N2022-08

29-08-2022

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩაზე (№37) შპს „თბილისი დრაი პორტი"-ს დაგეგმილი აქვს მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება, კომპანიის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.19.33.015.192, 01.19.33.015.050, 01.19.33.015.120, 01.19.33.015.195, 01.19.33.015.194, 01.19.33.015.219; 01.19.33.015.094, 01.19.33.015.131).

საპროექტო არეალი წარმოადგენს ჯამში 195591 m^2 ფართობს.

პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული განაშენიანების პროექტი მიზნად ისახავს ლოჯისტიკური ჰაბის ინფრასტრუქტურის მოწყობას და მის ოპერირებას. კერძოდ, კონცეფცია დაფუძნებულია მსოფლიოში გავრცელებული ე.წ მშრალი პორტის პრინციპზე, რაც გულისხმობს ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებში შემოსული ძირითადად კონტეინერების მეშვეობით ტვირთის რკინიგზით ტრანსპორტირებას თბილისის საპროექტო მშრალი ტვირთების ტერმინალში, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სატრანსპორტო ოპერაციის ერთ ადგილზე განხორციელება (დაცლა, დატვირთვა, დასაწყობება, ალტერნატიულ სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვა და სხვა).

პროექტის მოცემულ ტერიტორიაზე განხორციელების შედეგად მოხდება დაბინძურებული, დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა ინდუსტრიულ ზონად, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნა და მშრალ პორტთან სიახლოვის ზეგავლენით მიმდებარე ტერიტორიის კომერციული დანიშნულებით განვითარება.

დაგეგმილი საქმიანობა მიეუკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-2 დანართის 9.2. ქვეპუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)) და მე-2 დანართის 9.3. ქვეპუნქტით (საკონტეინერო ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

მიმდინარე წლის 13 მაისს (N1524) შპს „თბილისი დრაი პორტი"-ს მიერ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ში სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით წარმოდგენილ იქნა „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი"-ს სკრინინგის ანგარიში.

მიმდინარე წლის 14 ივნისს N 21/2538 წერილის საფუძველზე, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სააგენტომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ სააგენტოს 14 ივნისის N 21/2538 წერილის მოთხოვნების შესაბამისად განახლებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ელ. ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
- დანართი - დენდროლოგიური კვლევის ანგარიში.

პატივისცემით,

შპს „თბილისი დრაი პორტი"-ს დირექტორი

ნინო ნემსაძე